შპს ,, „საირმე-დ"

(ს/კ 406081706)

მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტის

(მსს ფასს) შესაბამისად

მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება,
2. სრული შემოსავლისა და მოგება–ზარალის ანგარიშგება,
3. ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებითი შენიშვნები;

ფინანსური ანგარიშგება **2022** წლის **31** დეკემბრის დასრულებული წლისათვის

აქტივები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
მიმდინარე აქტივები			
ფული და მისი ექვივალ	57,771	53,535	63,032
სავაჭრო მოთხოვნები	1,368,381	947,785	1,002,481
სასაქონლო მატ ფასეულობები	77,002	74,743	86,943
სხვა მიმდინარე აქტივები	2,915	-	-
გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	212,091	225,711	253,957
სულ აქტივები	**1,718,160**	**1,301,774**	**1,406,413**

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები	3,853,406	3,508,496	3,633,189
სავაჭრო ვალებულებები	-	-	-
ვალდებულებები თანამშ.მიმართ	80,517	75,695	74,367
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	2,738	2,066
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	-	-	-
	-	-	-
სულ ვალდებულებები	**3,933,923**	**3,586,929**	**3,709,622**
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგებ /დაგროვილი ზარალი	(2,215,763)	(2,285,155)	(2,305,297)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	2,088
სულ საკუთარი კაპიტალი	(2,215,763)	(2,285,155)	(2,303,209)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1,718,160**	**1,301,774**	**1,406,413**

შპს ,,საირმე-დ“ მოგება ზარალის გაანგარიშება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,655,976	7,031,111
რეალიზაციის თვითღირებულება	(6,573,837)	(5,308,295)
საწყისი მარაგი	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლო მარაგები	-	-
საერთო მოგება	**2,082,139**	**1,722,816**
სხვა საოპერაციო ხარჯები		
ხელფასის ხარჯი	(1,120,130)	(1,000,567)
ცვეთა და ამორტიზაცია	(24,723)	(25,151)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(85,752)	(83,501)
ადმინისტრაციული და სხვ ხარჯი	(770,357)	(570,368)
სულ საოპერაციო ხარჯი	**(2,000,962)**	**(1,679,605)**
საოპერაციო მოგება	**81,177**	**43,211**

სხვა არასაოპერაციო შემოსავლი /(ხარჯი)	**(11,785)**	**(25,157)**
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	-	-
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის	-	-
ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	69,392	18,054
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
სანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	**69,392**	**18,054**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**(2,285,155)**	**(2,303,209)**
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენტი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**(2,215,763)**	**(2,285,155)**

<u>სააღრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის</u>

1. **ა) ზოგადი ინფორმაცია**

შპს „საირმე-დ"(ს/კ 406081706)შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ,რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 7/12/2012), კომპანიის იურიდიული მისამართია :საქართველოს ,ქ.თბილისი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ორხევი, ახვლედიანის ქ., #3 ა (ნაკვეთი 1/25),მისი ძირითადი საქმიანობა საბითუმო ვაჭრობა უალკოჰოლო სასმელებით,რომელსაც ყიდის საქართველოში.

კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 7 დეკემბერს .

კომპანიის დირექტორი – ლევანი თევდორაშვილი

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

Covid-19-ით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტივობისა და ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

2. **მომზადების საფუძვლები**

წინამდებარეფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემულიფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

3. წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.
ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში;

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

5.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუ კი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,360,010	947,785	1,002,481
გადახდილი ავანსები	8,371	-	-
ჯამი:	**1,368,381**	**947,785**	**1,002,481**

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის

უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით. კომპანიის მარაგებს შეადგენს საწვავი, სარეალიზაციო საქონელი.

7.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- სატრანსპორტო საშუალებები -10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი
- ავეჯი 5-10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებებ 5-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს.

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
მოკლევადიანი ვალდებულებები	3,851,529	3,508,496	3,633,189
მიღებული ავანსები	1,877	-	-
ჯამი:	3,853,406	3,508,496	3,633,189

9. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

10. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი დაგადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

11. ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

13 . დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმობული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

14. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს

15.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 27 სექტემბრით;

შპს" საირმე-დ"-ს

დირექტორი: /ლევანი თევდორაშვილი/